დასკვნა:**დ02.37221854**
თარიღი:**05/07/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა, საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული N4 ქუჩისათვის ,,მთისბროლის ქუჩა" სახელის გადარქმევის შესახებ.

2021 წლის აგვისტოს დაბა ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა N4 ქუჩისათვის ,,მთისბროლის" სახელის მინიჭების შესახებ საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივის საჯარო განხილვა. ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ ზემოთ აღნიშნულ საჯარო განხილვას წინ უსწრებდა საკრებულოს შესაბამისი კომისიის წევრების შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან, პანსიონატი ,,მთისბროლის" ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლებთან, ტურიზმის სამსახურების მუშაკებთან, ურეკში განლაგებული სასტუმროების, სავაჭრო ობიექტებისა და სამედიცინო პერსონალთან.

ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლის, მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციებისა და შემაჯამებელი საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა და დაბა ურეკის N4 ქუჩას ეწოდოს ,,მთისბროლი ქუჩა"

2. კომისიამ უზრუნველყოს დაბა ურეკის N4 ქუჩისათვის ,,მთისბროლის ქუჩა" - სახელის მინიჭების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საკრებულოს თავმჯდომარესათვის გადაცემა.

დაბა ურეკის N4 ქუჩისათვის ,,მთისბროლის ქუჩა" - სახელის მინიჭება განაპირობა:

1. პანსიონატი ,,მთისბროლი" აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა მე-20-ე საუკუნის 70-იან წლებში. იგი ცნობილი იყო არამხოლოდ საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის, არამედ საკმაოდ პოპულარული იყო ევროპისა და აზიის ქვეყნების უმეტესობაში. პანსიონატი ,,მთისბროლი" დღესაც ფუნქციონირებს და სწორედ N4 ქუჩაზეა განთავსებული.

2. დაბა ურეკის ერთ-ერთ მთავარ N4 ქუჩას, ფაქტობრივად უკვე ჰქვია ,,მთისბროლის ქუჩა". ჩამოსული დამსვენებლების და ტურისტების აბსოლუტური

უმრავლესობა უკვე მოიხსენიებს მას, როგორც ,,მთისბროლის ქუჩას“.

ზემოთ აღნიშნული გაიზიარა კომისიამ და ერთხმად დაუჭირა მხარი N4 ქუჩისათვის ,,მთისბროლის ქუჩა“ სახელის მინიჭებას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი